სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თეა ლილუაშვილი

წევრები:

თამარ ახალაძე

დავით კუპატაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: საზოგადოებრივი კოლეჯი “აისი”

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 2277700800

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [x] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 აპრილის N250 ბრძანების საფუძველზე პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა (თეა ლილუაშვილი, თამარ ახალაძე, დავით კუპატაძე) 2019 წლის 17, 18 და 19 აპრილს ვიზიტი განახორციელა სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ აისში. ვიზიტის მიზანი იყო კოლეჯის მიერ დასამატებლად წარმოდგენილი სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის პირველი დღე დაეთმო მარეგულირებელი დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ადამიანური რესურსის პირადი საქმეების შესწავლას, სოფ. კაჭრეთში არსებულ ბაზაზე კოლეჯის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებლებთან გასაუბრებას; ვიზიტის მეორე დღეს შემოწმდა საბიბლიოთეკო რესურსები, ასევე- სოფელ ქვემო ალვანსა და სოფელ სამრეკლოში (ჯაფარიძეში) არსებული სასწავლო ფართების მზაობა დასამატებლად წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, გავესაუბრეთ დამატებითი სასწავლო ფართების სასწავლო პროცესის მენეჯერებს და პროგრამის განმახორციელებელ პირებს, შემოწმდა ამავე სასწავლო ფართებისთვის, როგორც განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტები და მათი მზაობა თანამშრომლობაზე, ასევე საბიბლიოთეკო რესურსები. ვიზიტის მესამე დღეს შემოწმდა მატერიალური რესურსი სოფელ კაჭრეთში მდებარე სასწავლო ფართზე და ამავე ფართზე განსახორციელებელი პროგრამებისთვის განსაზღვრული პრაქტიკის ობიექტები, მათ შორის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით განსახორციელებლად კოლეჯის პარტნიორ საწარმოში „მარნეულის სასურსათო ქარხანა“-ში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	■	□
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	■	□
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	■	□
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	■	□
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	□
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში	**მუხლი 6 /**	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**პუნქტი ე)**		
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**		
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**		
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**		
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**		
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**		
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**		
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**	■	□
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**	■	□
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**	■	□
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	■	□
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	■	□
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	■	□
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	■	□

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში:

- მოხდეს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურის ეტაპების დოკუმენტირება;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აისახოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ;
- ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების სასწავლო გეგმა კორექტირდეს იმგვარად, რომ საწარმოში გასატარებელი პერიოდი დაემთხვეს მაისი-სექტემბრის მონაკვეთს;

2.5 ქვესტანდარტთან მიმართებაში:

- მოხდეს ფილიალების სპეციფიკის გათვალისწინება და რეალური პრაქტიკის ასახვა საქმისწარმოების წესში;

2.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში:

- ძირითად და დამატებით სასწავლო ფართებზე განსხვავებული სიტუაციის შესაბამისად განხორციელდეს ცვლილებები „წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესში“ .

3.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში:

- შემუშავდეს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რითაც განისაზღვრება კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად სათანადო ცოდნა და უნარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. დაწესებულების მისია

კოლეჯის მისიაა თეორიული და პრაქტიკული სასწავლო საქმიანობის განხორციელებით მიზანდასახული, კონკურენტუნარიანი და მაღალი ზნეობის პროფესიონალების მომზადება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი და პროცედურა, რომლის თანახმადაც პროგრამის შემუშავება უნდა მოხდეს ხარისხის მენეჯერის ხელმძღვანელობით, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობენ შესაბამისი მიმართულების სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელები და შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები, პროგრამას ამტკიცებს დირექტორი. კოლეჯს არ აქვს დოკუმენტირებული შემუშავების და დასამტკიცებად წარდგენის პროცესი. თუმცა ინტერვიურებისას განმარტეს, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი ელექტრონული სახით წარადგენს დირექტორთან დასამტკიცებელი პროგრამების პროექტებს.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები „თმისა და სილამაზის მომსახურება“, „მომინანქრება“, „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - დირექტორის 2019 წლის პირველი მარტის N02-01-41 ბრძანებით, პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, მისაღწევი სწავლის შედეგები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაშვების წინაპირობა, პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა, სწავლების ხანგძლივობა, სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურებასა და კრედიტების მინიჭებასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა. პროფესიულ პროგრამებს თან ერთვის სასწავლო გეგმა, ინფორმაცია განმახორციელებელი პირების და მატერიალური რესურსის შესახებ, პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაა ქართული, განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელები.
ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელებს და განმახორციელებელ პირებს.
სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებიი ჩართული იყვნენ პროგრამის მომზადების პროცესში. მათ აქვთ მოდულური პროგრამების განხორციელების გამოცდილება.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება“ პროფესიული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმისა და სილამაზის მომსახურება“ მოდულებს არ აქვს განსაზღვრული დაშვების წინაპირობები, თუმცა სასწავლო გეგმას აქვს დაშვების წინაპირობების გრაფა, სადაც თითოეულ მოდულზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია „საბაზო განათლება“.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „მომინანაქრება“ დარგობრივ მოდულებში გამოქვეყნების ცვლილების თარიღად მითითებულია - 29.12.2017, ხოლო ჩარჩო დოკუმენტში კი არის - 10.07.2018.

ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების პროგრამაში სასწავლო გეგმა დაყოფილია ბლოკებად, დროის გარკვეულ მონაკვეთს პროფესიული სტუდენტები დაყოფენ კოლეჯში, შემდეგ სწავლას გააგრძელებენ საწარმოში და შემდეგ დაუბრუნდებიან კოლეჯს და ა.შ. კოლეჯის წარმომადგენლების განმარტებით სასწავლო გეგმის მსგავსად შედგენა განაპირობა იმან, რომ პარტნიორი ორგანიზაცია დაშორებულია და ამით ხელს შეუწყობენ პროფესიულ სტუდნტებს. საწარმოს წარმომადგენელმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აქტიური სამუშაო პერიოდი მაისიდან სექტემბრამდე აქვთ. მნიშვნელოვანია საწარმოში გასატარებელი პერიოდი დაემთხვეს აღნიშნულ დროს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო გეგმებში დაწესებულებას მითითებული ჰქონდა სპეციალიზაციის კოდები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად. ვინაიდან ვიზიტის განხორციელებამდე ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, დაწესებულებას განემარტა აღნიშნულის შესახებ. ვიზიტის პერიოდში კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით მოხდა პროგრამებიდან სპეციალიზაციის კოდების ცვლილება სწავლის დეტალური სფეროების კოდებით და ასევე გასწორდა ზემოთ აღნიშნული ტექნიკური შეცდომები (იხილეთ დანართი).
კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმისა და სილამაზის მომსახურება“ განსახორციელებლად:

1. სილამაზის სალონი „გრაცია“
2. [redacted]

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მომინანქრება“ განსახორციელებლად:

მიკრობისზნესის სტატუსის მქონე თამაზ თორღვაიძე

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“ დუალური მიდგომით განსახორციელებლად:

შპს მარნეულის სასურსათო ქარხანა, [redacted], მისამართი: ქალაქი მარნეული დავით აღმაშენებლის #1 .
ხელშეკრულების თანახმად საწარმო იღებს ვალდებულებას პროფესიულ სტუდენტთა სწავლება განახორციელოს სასწავლო გეგმისა და პროგრამის შესაბამისად მის კომპეტენციას მიკუთვნებული სწავლის შედეგების ფარგლებში, გამოყოს შესაბამისი პირი/პირები პროფესიულ სტუდენტთა შეფასებასა და საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად, უზრუნველყოს სასწავლო პროცესი მატერიალური და ადამიანური რესურსით საწარმოს ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში, შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო და გააფორმოს ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტთან, რომლითაც განისაზღვრება საწარმოში პროფესიული სტუდენტის ქცევის წესები და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საწარმო უზრუნველყოფს თითოეული მიღების ფარგლებში 15 პროფესიული სტუდენტის სწავლებას. საწარმოს წარმომადგენელთან ინტერვიურებისას განგვიმარტეს, რომ თუ სასწავლო ბლოკები საშემოდგომო და საგაზაფხულო მიღების სტუდენტებისთვის ერთმანეთს დაემთხვევა, 30 პროფესიული სტუდენტის ერთდოულ პრაქტიკას ვერ უზრუნველყოფენ.

სილამაზის სალონებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში არ არის განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის პერიოდში შეძლო 3 ობიექტის მონახულება, თითოეულ მათგანში განგვიმარტეს, რომ შეუძლიათ დღის განმავლობაში 2 ან 3 პროფესიული სტუდენტის მიღება. კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, ერთ-ერთ პარტნიორს აქვს სალონების ქსელი კახეთის სხვადასხვა მუნიციპალიტეტში და შეძლებენ პროფესიული სტუდენტების გადანაწილებას.

რეკომენდაცია:

- მოხდეს კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურის ეტაპების დოკუმენტირება;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში აისახოს ინფორმაცია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესახებ;
- ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების სასწავლო გეგმა კორექტირდეს იმგვარად, რომ საწარმოში გასატარებელი პერიოდი დაემთხვეს მაისი-სექტემბრის მონაკვეთს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამებით და მათი დამტკიცების შესახებ აქტით;
- ჩარჩო დოკუმენტებით;
- კოლეჯის მიერ შემუშავებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი და პროცედურით“.
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
- პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯის ვებ-გვერდზე განთავსებულია დუალური, მოდულური და საგნობრივი პროგრამების კატალოგები, კატალოგებში მოცემულია ინფორმაცია პროგრამების ხანგძლივობისა და საფეხურის/დონის შესახებ და ბმულის სახით თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფაილი, სადაც მოცემულია მისანიჭებელი კვალიფიკაციები, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგი და ინფორმაცია კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ, ასევე ინფორმაცია დაწესებულების შესახებ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვებ-გვერდზე განთავსებული კატალოგით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამის

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული პროგრამებით;
- ჩარჩო დოკუმენტებით.

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი აისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლითაც განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის და მიღებული განათლების აღიარების წესები.

დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს არაფორმალური განათლების აღიარების წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი აისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის ,,აისი“ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესი

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი"-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმების გზით უზრუნველყოფს მის გადაყვანას სხვა პროგრამაზე ან თუ ვერ ხერხდება კოლეჯის სხვა პროგრამაზე გადაყვანა, სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ ორგანიზაციებთან: აღნიშნული კოლეჯები ახორციელებენ საგნობრივ ან მსგავს/არაიდენტურ მოდულურ პროგრამებს.

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი მერმისი (ახორციელებს მემინანქრის და თმის სტილისტის პროგრამებს)
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ოპიზარი (ახორციელებს სასურსათო პროდუქტების წარმოების სპეციალისტის და თმის სტილისტის პროგრამებს)
- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი ტალღა (ახორციელებს თმის სტილისტის პროგრამას)

აღნიშნული კოლეჯები ახორციელებენ საგნობრივ ან მსგავს მოდულურ პროგრამებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი აისის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით
- მემორანდუმებით

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც ეფუძნება დემინგის ციკლს. კოლეჯს ჰყავს „შიდა მხარდაჭერის ჯგუფი" და შემუშავებული აქვს მისი სამოქმედო გეგმა. ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით ხარისხის მართვის მექანიზმებით განსაზღვრული ანკეტა-კითხვარებით გამოკითხვის გარდა ხშირად ატარებს პირისპირ ინტერვიუებს პროფესიულ სტუდენტებთან, რისი საშუალებითაც მნიშვნელოვან ინფორმაციებს იღებს მათგან, რასაც კითხვარებში არ აფიქსირებენ. მისივე განმარტებით მიღებულ შედეგებზე სწრაფადვე რეაგირებენ. მოდულებში დაფიქსირებული შეცდომების გასასწორებლად განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისთვისაც მიუმართავთ ინიციატივით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით;
- შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და მისი სამოქმედო გეგმის შესახებ დირექტორის ბრძანებით;
- ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

კოლეჯის ძირითადი სასწავლო ფართი მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაჭრეთში, (საკადასტრო კოდი[redacted]), შენობა ნაგებობა N1 – 1608,8 კვ.მ, N2-23.5 კვმ, N3-1706.2 კვადრატული მეტრი, N4-4075 კვ.მ, N5-8,6 კვ.მ. , N6-98,3 კვ.მ, დამატებითი სასწავლო ფართები: ახმეტის რაიონი სოფ.ალვანი (საკადასტრო კოდი - [redacted]) შენობა-ნაგებობა N1 საერთო ფართობი-1122 კვ.მ, შენობა ნაგებობა N2-38.4 კვ.მ, N3-28.2 კვ.მ. დედოფლისწყარო, სოფელი ჯაფარიძე" (სამრეკლო) (საკადასტრო კოდი[redacted] 13328 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, ლაგოდეხის რაიონი, სოფელი შრომა (ს/კ[redacted]) 3161 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით.

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

№	მისამართი	კვ.მ.
1.	გურჯაანის რ-ნი, სოფ. კაჭრეთი	1608,8
2.	გურჯაანის რ-ნი, სოფ. კაჭრეთი	23.5
3.	გურჯაანის რ-ნი, სოფ. კაჭრეთი	1706.2
4.	გურჯაანის რ-ნი, სოფ. კაჭრეთი	4075
5.	გურჯაანის რ-ნი, სოფ. კაჭრეთი	8,6
6.	გურჯაანის რ-ნი, სოფ. კაჭრეთი	98,3
7.	ახმეტის რ-ნი, სოფ. ქვემო ალვანი	1122
8.	ახმეტის რ-ნი, სოფ. ქვემო ალვანი	38.4
9.	ახმეტის რ-ნი, სოფ. ქვემო ალვანი	28.2
10.	დედოფლისწყაროს რ-ნი, სოფ. ჯაფარიძე (სამრეკლო)	13328 კვ.მ. (მიწის ნაკვეთი მასზე დამაგრებული შენობა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		ნაგებობებით)
11.	ლაგოდეხის რ-ნი, სოფ.შრომა	3161 კვ.მ. (მიწის ნაკვეთი მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საჯარო რეესტრის ამონაწერებით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თმის და სილამაზის მომსახურება“ დაწესებულებას სოფ. კაჭრეთში მდებარე სასწავლო ფართზე აქვს 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ერთ სივრცეში შერწყმული და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი A და C გარემო, ასევე 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B გარემო. ასევე 15 პროფესიულ სტუდენტზეა გათვლილი სასწავლო აუდიტორიები და სახელოსნოები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯაფარიძეში (სამრეკლოში) არსებულ სასწავლო ფართზე, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში მდებარე სასწავლო ფართზე B ტიპის აუდიტორია უზრუნველყოფილია 15 პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო მატერიალური რესურსით, ხოლო A და C გარემო გათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მომინანქრება“ დაწესებულებას სოფელ ქვემო ალვანში მდებარე სასწავლო ფართზე აქვს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსით უზრუნველყოფილი, 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი, ერთ სივრცეში შერწყმული A და C გარემო, ასევე 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი B ტიპის გარემო.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება“ განხორციელებას დაწესებულება გეგმავს დუალური მიდგომით. კოლეჯის ბაზაზე განხორციელდება მხოლოდ თეორიული ნაწილი. სოფელ კაჭრეთში მდებარე სასწავლო ფართზე დაწესებულებას აქვს შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი A და B ტიპის სასწავლო გარემოები, 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი შესაბამისი აღჭურვილობით. მიუხედავად იმისა რომ პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევა განსაზღვრულია რეალურ სამუშაო გარემოში კოლეჯის ბაზაზე (სოფ. კაჭრეთი) პროგრამისათვის არსებობს ძალიან კარგი ბაზა, იმისათვის რომ პროფესიული სტუდენტი დაეუფლოს პრაქტიკულ უნარ ჩვევებს. აქ წარმოდგენილია ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების წარმოების სრული ციკლის მინი მოდელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მიღება-ჩაბარების აქტებით;
- სასაქონლო ზედნადებებით;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას სამივე სასწავლო ფართზე აქვს სასწავლო პროცესის წარმათვისთვის საჭირო სასწავლო გარემო: ელექტრო ენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ცენტრალური გათბობის სისტემები, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა.

დაწესებულება რეგისტრირებულია აბონენტად შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“ , შპს სოკარ ჯორჯია გაზში, სს „ენერგო-პრო ჯორჯიაში“.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგადასახადო ანგარიშფაქტურებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის პერიოდში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამიდან შერჩევით გადამოწმდა დაწესებულების სასწავლო რესურსები.
დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებელზე არსებული შეესაბამება მოდულებში მითითებულ რესურსებს.
სახელმძღვანელოები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და გატარებულია საინვენტარო ჟურნალში. დაწესებულებას აქვს 4625 ერთეული საბიბლიოთეკო რესურსი. სოფ. კაჭრეთში მდებარე სასწავლო ფართზე არსებული ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო მაგიდით, 3 პერსონალური კომპიუტერით, 2 ლეპტოპით, პრინტერით, პროექტორითა და სმარტბორდით.
სოფელ სამრეკლოში (ჯაფარიძეში) მდებარე სასწავლო ფართზე არსებული ბიბლიოთეკა აღჭურვილი მკითხველებისთვის 2 ლეპტოპით და ბიბლიოთეკარის 1 კომპიუტერით. სოფელ ალვანში მდებარე სასწავლო ფართზე ბიბლიოთეკა აღჭურვილია 3 პერსონალური კომპიუტერითა და მკითხველისთვის განკუთვნილი მაგიდებითა და სკამებით.
კოლეჯს ჰყავს 1 ბიბლიოთეკარი ძირითად სასწავლო ფართზე, რომელიც ახდენს საბიბლიოთეკო ერთეულების დამუშავებას და ფილიალებისთვის გადაცემას. დირექტორის ბრძანებით კოლეჯის ფილიალებში ადმინისტრაციულ პერსონალს შეთავსებული აქვთ ბიბლიოთეკარის ფუნქციები.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საინვენტარო ჟურნალით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- დირექტორის ბრძანებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შრომითი ხელშეკრულებით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულება იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. კოლეჯის როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასწავლო ფართები უზრუნველყოფილია ინტერნეტით. ინტერნეტ-მომსახურების მისაღებად კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს მაგთიკომთან. კოლეჯს აქვს 222 კომპიუტერი, მათ შორის 49 გამოიყენება დაწესებულების პერსონალის მიერ. კოლეჯს აქვს ელ.ფოსტა kachreti@gmail.com.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინვენტარიზაციის დოკუმენტებით;
- საგადახდო ანგარიშფაქტურით:

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საქმის წარმოების წესი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას Eflow, საქმის წარმოების წესით განსაზღვრული არ არის აქტებისა და კორესპოდენციების მატერიალური სახით ჟურნალში გატარება. თუმცა კოლეჯის იურისტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან შრომითი ხელშეკრულებები ელექტრონულ სისტემაში არ იტვირთება, აწარმოებს შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალს. წარმოდგენილი ჟურნალი გადანომრილი, ზონარგაყრილი და დამოწმებულია.

საქმისმწარმოებლის განმარტებით ფილიალებში მატერიალური სახით შესული კორესპოდენცია იგზავნება ძირითად სასწავლო ფართზე (სოფ. კაჭრეთში) და იქ ხდება დამუშავება და სისტემაში ატვირთვა, თუ შემოსვლის დღესვე ვერ ხერხდება დოკუმენტის მიწოდება, აწვდიან ელექტროუნილი სახით, ხოლო მოგვიანებით მატერიალურად. ფილიალები არ არის ჩართული ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში.

რეკომენდაცია:

მოხდეს ფილიალების სპეციფიკის გათვალისწინება და რეალური პრაქტიკის ასახვა საქმისწარმოების წესში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საქმის წარმოების წესით;
- კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებით;
- ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნლით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „უსაფრთხოების წესები“ და „წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი“, რომლის თანახმადაც კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით შენობასა და ეზოში. დამონტაჟებულია 34 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, (მათ შორის 7 ერთეული - გარე გამოყენების და 27 ერთეული შიდა გამოყენების). კოლეჯში დასაქმებულ პირებს აქვთ ელექტრონული დაშვების პლასტიკური ბარათები, რის საშუალებითაც ფიქსირდება კოლეჯში მათი შესვლისა და გასვლის დრო. კოლეჯს ყავს დარაჯი, რომლის ფუნქციაა კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად; პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთა გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციის ნებართვით; კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

უსაფრთხოების წესების თანახმად კოლეჯში ფუნქციონირებს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორის მიერ დანიშნული თანამშრომელი - მედდა.

ა) კოლეჯის სამივე ფართი აღჭურვილია სახანძრო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საევეკუაციო გეგმები.

ბ) კოლეჯის ძირითად სასწავლო ფართზე კოლეჯს ჰყავს მედდა, ხოლო დამატებით სასწავლო ფართებზე მედდის ფუნქციები შეთავსებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალს. სოფელ კაჭრეთსა და სოფელ ქვემო ალვანში მდებარე სასწავლო ფართებზე კოლეჯს აქვს სამედიცინო კაბინეტები, ხოლო სოფელ სამრეკლოში (ჯაფარიძეში) მდებარე სასწავლო ფართზე სამედიცინო კუთხე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) კოლეჯის ძირითად სასწავლო ფართზე, სოფელ კაჭრეთში დაწესებულებას დამონტაჟებული აქვს სათვალთვალო კამერები, ჰყავს დარაჯები, დამონტაჟებული აქვს თანამშრომელთა დაშვების ელ.სისტემა, ხოლო დამატებით სასწავლო ფართებზე უსაფრთხოება უზრუნველყოფილია დარაჯების საშუალებით.

რეკომენდაცია:

ვინაიდან რეალობა ძირითად და დამატებით სასწავლო ფართებზე განსხვავებულია, განხორციელდეს „წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესში“ შესაბისი ცვლილებები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- წესრიგის დაცვის და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;
- უსაფრთხოების წესით;
- ფაქტობრივი მდგომარეობით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- დირექტორის ბრძანებით მედდის ფუნქციების შეთავსების შესახებ.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სოფელ კაჭრეთში მდებარე სასწავლო ფართი ადაპტირებულია ყველა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, კოლეჯის დამატებით სასწავლო ფართებში დამონტაჟებულია პანდუსები, ადაპტირებულია სველი წერტილები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ფაქტობრივი მდგომარეობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს აქვს ვებ-გვერდი http://collegeaisi.ge, ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების, ინფორმაცია პერსონალის და პროფესიული მასწავლებლების შესახებ, საკონტაქტო ინფრომაცია, კოლეჯის სტრუქტურა, მარეგულირებელი დოკუმენტაცია, ელექრონული კატალოგი და სხვა. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ვებ-გვერდით http://collegeaisi.ge

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეჯს შემუშავებული აქვს 2014-2020 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა და 2019 წლის სამოქმედო გეგმა. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები გამომდინარეობს კოლეჯის მისიიდან და ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენების და გაუმჯობესების მექანიზმებს. 2019 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში კოლეჯს დაგეგმილი აქვს პროგრამების ავტორიზაცია, „საგნობრივი“ პროფესიული პროგრამების მოდულური პროგრამებით ჩანაცვლება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით;

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯს შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც კოლეჯის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი. თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთან გასაუბრებასთან ერთად, შესაძლოა გამოყენებული იქნას კონკურსის წესით შერჩევა. ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს საკონკურსო კომისია. კოლეჯის შინაგანაწესის 26-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ კოლეჯში სამუშაოდ მიიღება 18 წლის ასაკს მიღწეული ქმედუნარიანი პირი, რომელიც ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს სათანადო ცოდნა და უნარები. სამსახურში მიღებასთან დაკავშირებულ დამატებით მოთხოვნებს საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი. იურისტის განმარტებით საკვალიფიკაციო მოთხოვნები განისაზღვრება კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში. არსებულ პერსონალს აქვს განათლება ან სამუშაო გამოცდილება დაკავებული პოზიციის შესაბამის სფეროში.

რეკომენდაცია:

შემუშავდეს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რითაც განისაზღვრება კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად სათანადო ცოდნა და უნარები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ადამიანური რესურსების მართვის წესით;
- იურისტთან გასაუბრებით;
- პირადი საქმეებით;
- შინაგანაწესით.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

რეესტრში ასახული ინფორმაციის მიხედვით კოლეჯს ჰყავს 577 პროფესიული სტუდენტი და 116 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის დაწესებულებას ჰყავს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელი, საწარმოს მხრიდან გამოყოფილია ინსტრუქტორი. პროფესიული პროგრამისთვის მომინანქრება -7 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიული პროგრამისთვის თმისა და სილამაზის მომსახურება -23 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის შინაგანაწესით;
- პირადი საქმეებით;
- პროფესიული პროგრამებით.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის შინაგანაწესის 28-ე მუხლის შესაბამისად, დანიშვნის აქტები გაფორმებულია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებულ რამოდენიმე შრომით ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული ხელშეკრულების ძალაში შესვლის და სამუშაო დრო. აღნიშნული გამოსწორდა ვიზიტის პერიოდში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შრომითი ხელშეკრულებებით;
- დანიშვნის აქტებით;
- შრომის შინაგანაწესით.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით)	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისათვის/ საგნობრივი პროგრამებისათვის	კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები	სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით)	ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით
1	თმისა და სილამაზის მომსახურება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში 1012	57	72	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი	კაჭრეთი -0	კაჭრეთი -30
							დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. სამრეკლო	სამრეკლო-0	სამრეკლო-30

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

							ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანი	ქვ.ალვანი-0	ქვ.ალვანი-24
2	მომინანქრება	მესამე დონე	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მომინანქრებაში 0214	61	76	ქართული	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანი	ქვემო ალვანი-0	ქვემო ალვანი-30
3	ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში 0721	85	115	ქართული	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაჭრეთი	კაჭრეთი -0	კაჭრეთი-15

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. დირექტორის ბრძანება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების განხორციელების შესახებ;

20.05.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: